№238 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის შესახებ

ქვეყნისთვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, გამარტივებული წესით, გასცეს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**